კონკურსი სტუდენტებისათვის მოკლევადიანი მობილობის მიზნით

Erasmus + Blended Intensive Program (BIP): "Ecosystemic Awareness Lab: Cities for All Life"

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ბიოლოგიისა და ეკოლოგიის პროგრამის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტში **(Vytautas Magnus University, Lithuania)** მოკლევადიანი მობილობისთვის.

- ვირტუალური მობილობის პერიოდი - **03/08 - 30/08/2026 და 14/09/2026**
- ფიზიკური მობილობის პერიოდი - **31/08 - 5/09/2026**
- სტიპენდიის ოდენობა:
  - მგზავრობის ხარჯი: **395 ევრო**
  - დღიური სტიპენდია: **79 ევრო**

დაინტერესებულმა კანდიდატებმა სააპლიკაციო ფორმა უნდა შეავსონ **2026 წლის 12 ივნისის 18:00 საათამდე.**

სააპლიკაციო ფორმა

სააპლიკაციო ფორმაში სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ვალიდური პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი / Passport or ID Card
რეზიუმე / CV (სასურველია EUROPASS ფორმატში)
შესაბამისი უცხო ენის მინ. B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა / Language Certificate. ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების სრული ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე. გაითვალისწინეთ, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში უნდა ჩანდეს მისი მინ. B2 კომპეტენცია ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით

მიმდინარე საფეხურის ნიშნების ფურცელი გაცემული უნივერსიტეტის მიერ / Transcript of Records
საკონკურსო პერიოდში გაცემული აქტიური სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა / Proof of Enrollment იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის შემოტანის დროს სტუდენტისათვის ცნობილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში სწავლას ვერ ასრულებს (უწევს დამატებითი სემესტრის გავლა), აღნიშნული უნდა აისახოს სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობაში.
ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური, სოციალური ან/და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (იხილეთ მუხლი 3, პუნქტი 4) / Proof of disability, social or economic vulnerability (if relevant)

BIP პროგრამის "Ecosystemic Awareness LAB: Cities for All Life" შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://iro.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2026/05/BIP-at-VMU-_-Ecosystemic-Awareness-LAB_-Cities-for-All-Life.pdf

ზოგადი ინფორმაცია ერაზმუს + პროგრამის კონკურსში მონაწილეობის წინაპირობების და პროცედურების შესახებ, იხილეთ ბმულზე: https://iro.iliauni.edu.ge/erasmus-iliaunis-studentebisthvis/

კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით - erasmusplus@iliauni.edu.ge